## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

## ბრძანება №240/04
**2019 წლის 18 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

## „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

,,ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხა:

ა) ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა;

ბ) ალბანეთის რესპუბლიკა;

გ) ბარბადოსი;

დ) ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა;

ე) ბოტსვანის რესპუბლიკა;

ვ) განას რესპუბლიკა;

ზ) გიბრალტარი;

თ) დომინიკის თანამეგობრობა;

ი) ერაყის რესპუბლიკა;

კ) ვანუატუს რესპუბლიკა;

ლ) ზიმბაბვეს რესპუბლიკა;

მ) თერქს-ქაიქოსის კუნძულები;

ნ) იამაიკა;

ო) იემენის რესპუბლიკა;

პ) ირანის ისლამური რესპუბლიკა;

ჟ) კაიმანის კუნძულები;

რ) კამბოჯის სამეფო;

ს) კოლუმბიის რესპუბლიკა;

ტ) კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა;

უ) მავრიკის რესპუბლიკა;

ფ) მიანმარის კავშირის რესპუბლიკა;

ქ) ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა;

ღ) ნიკარაგუის რესპუბლიკა;

ყ) პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა;

შ) პანამის რესპუბლიკა;

ჩ) სეიშელის რესპუბლიკა;

ც) სენტ-ვინსენტი და გრენადინები;

ძ) სირიის არაბთა რესპუბლიკა;

წ) ტაჯიკეთის რესპუბლიკა;

ჭ) უგანდის რესპუბლიკა.

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 1 მაისის ბრძანება №99/04 - ვებგვერდი, 04.05.2020 წ.*

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 10 ნოემბრის ბრძანება №197/04 - ვებგვერდი, 11.11.2020 წ.*

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის საყურადღებო ზონების ნუსხის დადგენის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 9 იანვრის №1/04 ბრძანება.

**მუხლი 3**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი** **კობა გვენეტაძე**

2. 10/11/2020 - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება - 197/04 - ვებგვერდი, 11/11/2020 (/ka/document/view/5030955)

1. 01/05/2020 - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება - 99/04 - ვებგვერდი, 04/05/2020 (/ka/document/view/4862800)